საქართველოს მთავრობის

დადგენილება №218

2021 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, №33, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-14 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^1 გრაფა:

„14^1	ოპერაციის შეფასების ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების გაფორმება		30 000 ლარი **შენიშვნა:** თუ წინასწარი შეთანხმების გაფორმება მოთხოვნილია რამდენიმე ოპერაციაზე, ამ გრაფით გათვალისწინებული საფასური დაინტერესებულმა პირმა უნდა გადაიხადოს თითოეული ოპერაციის მიხედვით ცალ-ცალკე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**